


სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 41. ოქტომბერი 3, 1893 წ. № 41.

**შინაარსი:**— შორით მომესმა, ლექსი ი. ბულბულაშვილისა.— სწავლის საქმე ჩვენში გ. წერეთლისა.— გლეხის ჩივილი ლექსი კორტოხასი.— სუჯუნა და მისი ორკლასიანი სკოლა ხაკო უჩარდიასი.— შეშლილების ხვედრი გურიაში პ. რ—შვილისა.— ჩემი სიმღერა, ლექსი დუტუ მეგრელისა.— სუმახი ქართულად თუთუბოა თუ თრიმლი? ი. ალხაზიშვილისა.— ბატონიშვილის ალექსანდრეს ცხოვრება სპარსეთში, თარგმანი ტ—დ—ცისა.— კაცის მჭამელები.— პეპელა ან. დეკანოზიშვილისა.— ტიროლელი მონადირე.— ბედი ჩვენი ბავშვებისა წყალტუბელისა.— სახუმარო გასართობი.— განცხადება.

## შორით მომესმა

შორით მომესმა ხმა უცნაური,
საამო, წყლულთა გამკურნებელი.
მუშათა რაზმი ალნიშნულ მის გზას,
„ადგასო“, მიდის გალომებული.

ერთ მხრით მათ ხმაში, ვით მომაკვდავის
ისმის ტირილი კვნესა და ოჰხვრა.
აწმყო მათ სჩაგრავს, მოსვრას უქადის,
მომავალს მოაქვს მათთვის არარა!

მაგრამ კავშირი, გულს შემაწები,
ეს სულ დროებას გაუჭედია,
სიმხნეს გვიმატებს, სიმტკიცეს გვაძლევს,
ტანჯვით უნდა ვშვათ ჩვენი ბედია.

და ტანჯვა ხალხის მას მოჰფენს ნათელს,
და მომავალსა ალაფრთოვანებს;
მწუხარსა აწმყოს მხნედ გადაიტანს,
რაკი იმედი მას ასულდგმულებს.

მეც, ვით მის ნაწილს, მანუგეშებლად
შემომესმება რა ხმა ხალხთ გრგვინვის,
წყლული გულიდან გადამეცლება
და მევაქკაცებს იმედი წინ სვლის.

ამ დროს, გინდ მტანჯე, ჩემო მტანჯველო,
გინდ საკირეში თავი მიკარი,
მაინც ჩემს სახეს მბრწყინავ იმედის
კვალი ეჩნევა წაუფხეკარი.

ჩაგრულთ იმედი მოსალოდნელი
იზრდება, ვერ ჰკლავს მას რკინის ხელი
უნდო მტარვალი მოსისხარ ტლანქ-ხელს
მოხვევას ლამის გამხეცებული.

იცან, მტარვალო, ჭეშმარიტება
შენი მანქანით არ მოისრება
და წყევა-კრულვა ხალხის გულიდან
ამოხეთქილი თავს დაგეყრება...

ი. ბულბულაშვილი.

# სწავლის საქმე ჩვენში

საკვირველი, ხმაამოუღებელი, გაურკვეველი მოძრაობაა საქართველოს ყოველ კუთხეში სკოლების შესახებ. ერთი მხრით მზრუნველი მთავრობა არაფერს ზოგავს; მეორე მხრით თვით გუბერნიის გამგეობა და მაზრის უფროსები დიდს ყურადღებას აქცევენ, რომ ხალხმა შეიგნოს სკოლების საჭიროება, ყოველ კუთხეში დაარსდეს საერო სკოლები და შვილები გამოზარდონ; მაგრამ რამდენათაც უფრო დიდს მომჭირნეობას იჩენს კავკასიის ოლქის სამოსწავლო დაწესებულება, რომ სკოლებით მოიფინოს ყოველი კუთხე ჩვენი ქვეყნისა, იმდენათ გაუგებარია ხალხის წინაამდეგობა საერო სკოლების დაფუძნების შესახებ. ხშირად მოგვდის, განსაკუთრებით დასავლეთის საქართველოს კუთხეებიდან, იმერეთ-გურია-სამეგრელოდან ამბები, რომ სოფლის ხალხი შეუყრიათ სკოლის დასაარსებლად. ბევრი ულაპარაკნიათ, ურჩევიათ, აუხსნიათ სკოლის სარგებლობა, განათლების მიუცილებელი საჭიროება, მაგრამ ხალხს მაინც არ უსურვებია, არ გვინდა სკოლა და არაო. უფრო შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ უწინდელს სკოლებში თურმე ბევრი ყმაწვილები დადიოდენ სიამოვნებით, დღეს კი თანდა-თან აკლდება მოწაფეები და სკოლაც უწინდულათ აღარ არის ყმაწვილებით გავსებული; მათ რიცხვს დღითი დღე აკლდება. ვინც წაიკითხავს დღევანდელ „კვალში“ დაბეჭდილს ამბავს სუჯუნის სკოლის შესახებ, დარწმუნდება, რომ იქაც ორ კლასიანი ნორმალური სკოლა ცალიერდება მოწაფეებისაგან.

ამას წინათ „ივერიაში“ გასაშტერებელი ამბავი იყო მოწერილი ოზურგეთიდან. კარგათ აღარ მახსოვს, ბახვის საზოგადოება იყო, თუ ლიხაურის, უნდოდათ ნორმალური სკოლა დაეარსებინათ. კრება იყო და საერო განაჩენი (პრიგოვორი) უნდა დაედგინათ ნორმალური სკოლის შესახებ. ჯერ ხალხი თითქოს ძალიან მოწადინებული იყო და კიდეც უნდოდა ხელი მოეწერა დაწერილს განაჩენზედ (პრიგოვორზე); მაგრამ ამ დროს ხალხმა მოჰკრა ყური, რომ იმ სკოლაში პროგრამის ძალით ქართული სწავლა არ იქნებაო. თურმე იგრიალა ამდენმა ხალხმა და დაიძახა, თუ მასწავლებელი წითლიძე ქართულს არ ასწავლის იმ სკოლაში, ისე განაჩენს ხელს არ მოვაწერთო. აბა, რა ნაირად შეიძლებოდა ნორმალურის სკოლის პროგრამის შეცვლა, მაგრამ ეს გარემოება კი იყო მიზეზი, რომ არც განაჩენი შედგა და ხალხიც მაშინვე დაიშალა. თურმე ბევრი ეხვეწენ ხალხს, თვით მაზრის უფროსმაც ბევრი შეაგონა, თვითონ წითლიძემაც ბევრი უქადაგა ხალხს სწავლის სარგებლობის შესახებ, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახოდა არ გვინდა და არაო.

ამას წინეთ ქუთაისის ღუბერნატორი ბრძანებულა ახალ-სენაკში. იქ სოფლის ხალხი დახვედრია და უთხოვნია ღუბერნატორისათვის, რომ მას ეშუამდგომლა კავკასიის სამოსწავლო მზრუნველის წინაშე, რომ სასოფლო სკოლებში ქართული ესწავლებინათ, რომ ჩვენი ახალგაზდები ზოგი პრიკაშჩიკებათ მიდიან ქალაქებში: ქუთაისს, ფოთს, ბათუმს, სოხუმს, თვით ახალ-სენაკს და სხვაგანაცაო, სავაჭრო დავთრები სულ ქართულ ენაზე გვაქვსო, ეკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულად არისო, ჩვენს შვილებს, როცა სალდათად წაჰყავთ, მიწერ-მოწერა თავის დედ-მამასთან ქართულად აქვსო და მრავალი საბუთები მოეყვანათ, რომ ძალიან საჭიროა ქართული ენის სწავლება, როგორც ჩვენი საკუთარი დედაენისაო. ღუბერნატორიც დაჰპირებოდა შუამდგომლობას კავკასიის სამოსწავლო მზრუნველის წინაშე, მაგრამ არ ვიცით ჯერ, რითი გათავებულა საქმე.

ამაზე კიდევ უფრო შესანიშნავი ამბავი არის დაბეჭდილი „ივერიის“ №-207 დიდი ჯიხაიშიდან. იქ განუზრახავთ საქალებო სკოლის დაარსება. ეს ამბავი შეუტყვია სახალხო სკოლების დირექტორისა, რომელსაც უთხოვნია სამტრედიის ბოქაულისთვის, ყრილობა მოეხდინა ამ საგნის თაობაზე, და განაჩენი დაედგინათ დასამტკიცებლად.

„14 სეკტემბერს სამტრედიის ბოქაულმა დ—ძემ შეჰყარა ხალხი, მაგრამ ამაოდ. ხალხი სულ უარზედ დადგა; იმისთანებმაც კი უარი თქვეს, რომელნიც წინად ძალიან მოწადინებულნი იყვნენ... გაიძვერების კადნიერებამ იქამდის მიაღწია, რომ აშკარათ უქადაგებდენ ხალხს, რად გვინდა სკოლაო. აბა, ახლანდელმა სკოლამ რა გაგვიკეთაო?.. შემოიღეს ბაღში მუშაობა, ეს ხომ ჩვენც კარგათ ვიცითო. შემოიღეს აბრეშუმობა, ეს ხომ დედაკაცის საქმეაო.. იმათსავე მეოხებით ხალხი ისე გაგულისდა, რომ სკოლის ბაღის აოხრება მოინდომა, მაგრამ როგორც იყო კეთილგონიერებამ გაიმარჯვა და ხალხმა თავი შეიკავა“.

თუმცა კორრესპონდენტი „ივერიისა“ ასეთს ამბებს ზოგიერთ გაიძვერაებს აბრალებს, მაგრამ მე არა მგონი, რომ ამისთანა საკეთილდღეო საქმეში გაიძვერებს შეეძლოს რაიმე გავლენა ხალხის კეთილგონიერებაზე. გაიძვერა იმიტომ არის გაიძვერა, რომ ის ხ ა-მაღლა და ხალხში დღის სინათლეზედ ვერ გამოჩნდება, რადგან ის ცრუ გზას ადგას და ვერას გააწყობს, თუ რომ თვით ხალხშიაც არ ტრიალებდეს ამგვარი აზრი. ალბათ ახლანდელს სკოლას იმდენი

პრაქტიკული სარგებლობა არ მიუცია, რომ ყმაწვილების გაცდენათ ღირდეს. ვინ არ იცის, რომ ახლანდელს დროში გლეხის ოჯახში შვიდი-რვა წლის ბავში თავის ჭამის ფასს ყოველთვის გააკეთებს. სხვა არა იყოს რა, წვრილფეხის მწყემსად მაინც გამოდგება და ისიც კარგია გლეხისთვის. თუ რომ გლეხი დასთმობს ამისთანა მუშა ხელის ოჯახიდან მოცილებას და გზავნის სკოლაში, სამ-ოთხ წელს ითმენს გაჭირვებით მის არყოფას ოჯახში, ალბათ იმიტომ რომ რაიმე სარგებლობას მოელის, იმედი აქვს, რომ ოთხ წელს შემდეგ ბავში ნასწავლი დაუბრუნდება გლეხის ოჯახს და დანახარჯს აღუდგენს.

რაც ოთხის წლის განმავლობაში მისი მოცილებით ოჯახს დაუკარგავს, ახლა ყმაწვილი რომ უბრუნდება დედ-მამას, გული ევსება იმედებით, ნასწავლი შვილი დამიბრუნდაო, აწ რაღა მიჭირსო. მაგრამ წარმოიდგინეთ გლეხის მწუხარება, როცა მის ყმაწვილს იმდენი არა შეუძენია რა სკოლიდან, რომ გლეხის ოჯახს რაიმე სარგებლობა მიმატებოდეს. თითო ოროლა ნასწავლი რუსული სიტყვები სოფელში ბავშს მალე ავიწყდება და გლეხი იმასაც ვეღარ ამჩნევს თავის შვილს, რომ წესიერი წერა-კითხვა იცოდეს სამშობლო ენაზე, რომ ხელის მოწერა, ქაღალდების წაკითხვა და იმათი გაგება შეიძლოს. ამას შემდეგ რა გასაკვირველია, გლეხს, რომ ნდობა ეკარგებოდეს სკოლისა და ზარალის მეტს სარგებლობას ვერას ხედავდეს. მე მგონია, უფრო ეს უკანასკნელი უნდა იყოს ხალხის გულის აცრუების მიზეზი და არა ის თითო ოროლა გაიძვერაები, რომელნიც ვითომც და ხალხს აგონებდენ სკოლის უარყოფას. ასეთი ცილის წამებისა და ფანტაზიების შეთხზვის მაგიერად უფრო სჯობია თვით ის მასწავლებელნი ჩაუკვირდენ ღრმად ამ გარემოებას, რომელნიც ზერელა მოაზრებით გაზეთში კორესპონდენციებსა სწერენ, როგორც მაგალითად დიდი-ჯიხაიშის კორრესპონდენტია. ამის მაგიერად ისინი რომ თავის მოვალეობას სინდისიერად მოეპყრან, ბევრად უკეთესი იქნება. იმათ უნდა ეცადონ, მშობლებთან კარგი განწყობილება იქონიონ, შეიტყონ იმათი გულისპასუხი და ეცადონ მათს შვილებს გამოსადეგი სწავლა შესძინონ, გონება გაუხსნან და რაც შეიძლება ბევრი ცოდნა გადასცენ; ხოლო ეს, თუ არ სამშობლო ენის საშუალებით, სხვა ღონისძიებით არ მოხერხდება. მაგრამ სამწუხაროდ ბევრია სოფლის მასწავლებელი, რომელიც უფრო იმას მისდევს, რომ თავის უფროსებს ასიამოვნოს პირფერი მოხსენებით, ვიდრე ნამდვილად დაუხატოს საქმის გარემოება და გააგებინოს ხალხის სურვილი. თუ ეს ასე არ იყოს, მაშ რად აცრუებია ხალხს გული და რად შეუძულებია სკოლის ზოგი მასწავლებლები?.., რად გამოჩენილან, კორესპონდენტის სიტყვით, ისეთი კაცები, რომელთაც ნდომებიათ „სახალხო დირექტორთან საჩივრის გაგზავნა, მასწავლებელი არ გვინდაო“?

საკვირველია, რომ ხალხი, როგორც მოწერილი ამბებიდან სჩანს, იმდენად არ ეწინააღმდეგება პირველ დაწყებითს სკოლებს, სადაც ასწავლიან ქართულ წერა-კითხვას და ანგარიშს, რამდენადაც ორკლასიან ნორმალურს სკოლებს, სადაც დედა-ენაზედ აღარ ასწავლიან და იქიდან გამოსულს ყმაწვილებს აღარც საჩვენოში უდგიათ ფეხი და აღარც სასხვისოში. ეს გარემოება ცხადათ უნდა გვიმტკიცებდეს, რომ ხალხი მიმხვედარია, როგორი სკოლებიც ეჭირვება მას და როგორი მასწავლებლებიც მოიგებენ იმის გულს. არ შეიძლება ასეთს გარემოებას არ მივაქციოთ ყურადღება, თუ არ გვსურს, რომ ხალხმა საბოლოვოთ შეიძულოს სკოლა და იმის წინამძღვრები.

გ. წერეთელი.

## გლეხის ჩივილი

მარწყვივით გოგო სახლში მყავს,
მას ვენაცვალე სულშია.
გუშინ-წინ ჯვარი დამწერეს...
დღეს გზას ვმუშაობ.. სულ მშია.

მამასახლისმა წყეულმა
უსაგზლოდ წამომათრია.
ჩემი გოგუნა ატირდა,
მაგრამ ვის ჰქონდა ხათრია.

მე აქ ვმუშაობ, ბეჩავი,
შორს არის ჩემი სოფელი;
იქ კი ურმის გზა არა მაქვს...
ყოველ დღე ტანჯვას მოველი.

თუ სახლში მიველ ოდესმე,
არ მომაცლიან იქაცა;
მტაცებენ ხელსა, თავს მიკვრენ,
არ მანახვებენ ცოლსაცა.

ან გამგზავნიან შარაზე
ქურდების დასაჭერადა.
ღმერთიმცა ყველას გაშორებთ
მამასახლისსა მტერადა.

მარწყვივით გოგო სახლში მყავს,
მე აქ ვმუშაობ გზაზედა,
ჭირიმე ჩემი გოგოსი,
ის მაგონდება წამზედა.

კორტოხა.

## სუჯუნა და მისი ორ-კლასიანი სკოლა

დაბა სუჯუნა, მისი ორ-კლასიანი სახალხო სკოლა—საზოგადოების გულგრილობა სკოლისადმი.—მიზეზი და შედეგი მისი.

Სუჯუნა, დიდიხანია, რაც დაბად არის დამტკიცებული. ჯერ კიდევ სამეგრელოის მთავრობის დროს ის იყო სამაზრო სამმართველოს ბინა და ჭყონდიდელის საკათედრო ეკლესია. აი, ამ სიძველით და წარსულით შესანიშნავს ადგილს იჭერენ დღეს თვით იქ მცხოვრებნი ქრისტიანენი და ებრაელნი; უკანასკნელთ სუჯუნაში ძველი დროიდან აქვსთ მოსახლობა და მამულები. ამათ გარდა, სუჯუნის საზოგადოებას შეადგენენ მკვიდრნი აზნაურ-გლეხობა. მცხოვრებთა რიცხვი: გლეხობა 80„-კომლამდეა, აზნაურობა და სასულიერო წოდებისანი—სამღვდელოება ერთად გაშორებით ნაკლებია გლეხებზე. როგორც მცხოვრებთა რიცხვით, აგრეთვე მიწა-ტყით და კარგი ნიადაგით სუჯუნის საზოგადოება სენაკის უეზდში უკეთესთაგანია. 1887 წელს აქ არსებული ერთ-კლასიანი სკოლა მაშინდელის მასწავლებლის და დღეს კი მამა ფ მ—ვას მეცადინეობით გადაკეთდა ორ-კლასიანად, რომელიც დღემდე არსებობს.—არსებობს, მარა ვაი ასეთ არსებობას!. სკოლაში სამოც-და-ათი,—ოთხმოცზე მეტი შეგირდები არიან, როცა სხვაგან ორ-კლასიანებში ას ორმოც-და-ათამდეა მოსწავლენი და მრავალნი მსურველნიც უადგილობის გამო შინ ბრუნდებიან—აქ არა თუ შინ ბრუნდებიან მთხოვნელები, შინიდანაც არ მოდიან და თუ ინებეს ოც-და-ერთ, ოც-და-ორ სექტემბრიდან გამოჩნდებიან ერთი ორი მთხოვნელნი. რა უნდა იყოს მიზეზი ასეთი სამწუხარო მოვლენისა?! რასაკვირველია ამისი პასუხი ადვილი არ არის, რადგან აქ მიზეზი მრავალ-გვარი და მრავალ-ფეროვანია,—ფერადია მაგრამ, ჩვენი ფიქრით, დიდი დამნაშავეა საზოგადოების გულ-გრილობა. ვინც კარგად იცნობს ამ სკოლის წარსულს, ის კი უეჭველად დამეთანხმება ამაში... კარგად გვახსოვს, რომ 1889—1890 წლებში საზოგადოებამ მოინდომა ამ სკოლის სამრევლო სკოლად გადაკეთება, მარა ასეთი ხალხის სურვილი მთავრობამ არ შეიწყნარა და სკოლა დარჩა ისევ უწინდულად. ახლა ეს ვიკითხოთ: ეს არის საზოგადოების სკოლისადმი გულგრილობის მიზეზი, თუ სხვა რამე? თუ მივიღებთ სახეში იმას, რომ აქ სამრევლო თითო-კლასიანი სკოლებიც ბარე სამია და იმათშიც თვითოეულში ოც-და-ხუთზე მეტი შეგირდები არ არიან, ნუ თუ მაშინ აშკარა არ არის, რომ საზოგადოებას გული გატეხია სხვა მიზეზის გამო; მხოლოდ ამ მიზეზს, ვფიქრობ, სოლომონ ბრძენიც ვერ გაიგებდა.—მართალია სკოლაში ხან-და-ხან და უფრო ხშირად მაინც და მაინც საიმედო მასწავლებლები არ არიან სუჯუნელთა შეხედვით, მარა განა ეს ვისმე უფლებას გვაძლევს ჩვენს შვილებს გზა შეუკრათ სინათლისაკენ?! ხარჯს ხომ ვიხდით ყოველგვარს სკოლისათვის საჭიროს! გასაკვირია თქვენმა მზემ—კაცო, რატომ არ ვუფიქრდებით ჩვენს მდგომარეობას, რატომ არ ვიცით, თუ რაც მოგველის მომავალში ასეთ გონების სიბრმავისაგან?! მასწავლებლები და მთავრობა რა სამიზეზოა, რაც ჩვენ ვერ შევეიგნია დროების მოთხოვნილება! მართალია აქ იყვენ ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც მასწავლებლობას გარდა სხვა სამსახურის მოვალეობას კისრულობდენ; ან ისეთები, რომლებიც ბავშებს კამფეტებს ურიგებდენ, რომ შემოსულიყვენ სკოლაში. მე, სწორედ მოგახსენოთ, ასეთ მასწავლებლებისაც და ხერხის წინააღმდეგი გახლავარ: თუ კი, მამულის შვილო, იკისრე მასწავლებლობა — ეგ მძიმე და ჩვენს დროში ძნელად საზიდი ტვირთი, ემსახურე და უერთგულე იმას, ნუ ეპოტინები სხვას და ნუ გვიხვევ თვალებს.—ორს ვერ ვემსახურებითო, ბრძანა ყველაზე დიდმა მასწავლებელმა: მეორე—მასწავლებელი ძლიერ ფრთხილად უნდა იყოს ყოველ გვარ ჯილდო—სასჯელში—**Если воспитаніе было ведено во всѣхъ отношеніяхъ правильно, нужды ни въ наградахъ, ни въ наказаніяхъ. (школьн. діэт. форм. по Герману Кленке, стр. 119)**. კონფეტი?—ბავშს დღეს მიეცით კონფეტი, შევპირდით, თუ კი ივლის სკოლაში, მიიღებს კონფეტებს; დაიწყო ბავშმა სიარული; რას ექნება მისი სული და ყურადღება გატაცებული, სწავლის სურვილს და აღზრდას, თუ ალთქმას! მერე რომელია უფრო ტკბილი და მარგებელი? სწავლა თუ კომფეტები?!—იქნება ასეთი საქციელი მასწავლებელმა სახელის მოსახვეჭად მოიგონა, მარა ეს არ დაავიწყდეს ასეთს ეგოისტს: „ბრძენის ურიგო ქცევითა, ბაძით წახდების ერიო“ (გურამიშ). განა ამისთანა შემთხვევაში ყოველ გვარი პირობა და საჩუქარი იგივე ქრთამი არ არის?!—არ შეიძლება ასე მოქცევა—ეს წინააღმდეგია პედაგოგიკის და სამართლიანის მსჯელობისა.. სკოლაში ბავში უნდა შეჰყავდეს მშობლების კეთილს სურვილს და არა სხვა რამეს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, ის გამეორდება ყოველგან, რაც აქ ჰხდებოდა: ერთს თვეს ივლიდა ბავში, მერე მოჰკურცხლავდა შინისაკენ, ვითომ რაო? რაო და კონფეტები არ მომცეს და, აბა, რა-

ლას გაეჩერდეთ. ეს ხომ უგუნურებაა, მარა ნუ თუ ის უფრო სისულელე არ არის, როცა მშობლები თანხმდებიან ბავშის ჯინს და არ მიჰყავთ უკანვე სკოლაში?! ვინ არის ნეტავ აქ უფრო დიდი დამნაშავე? ბავში, სკოლა, მასწავლებელი, თუ საზოგადოება! ეს კითხვა მკითხველთათვის მიმინდვია საპასუხოდ, და მე კი ასე ვფიქრობ: სჯობს საზოგადოებამ სცნას განათლების ძალა და მით მომავალში თავიდან აიცილოს ის უბედური შედეგი, რაც წილად ჰრგებია გონებით დაბლა მდგარს და სიდამბლეში ჩაცვივნულს საზოგადოებას... რაღა თქმა უნდა ამ შემთხვევაში ბევრს უშლიდა საზოგადოებას სამღვდელოება, რომელმაც უნდა დაავალოს თვითოეულს სულიერს მის მოწაფეს სკოლაში ბავშის შეყვანა ისე, როგორც ავალებს წმიდა საიდუმლოს მიღებას.—დიაღ, წმიდათა მამათა, უჩვენეთ ხალხს გზა ჭეშმარიტებისა სინათლისაკენ—ასეც ბრძანებს, ვინც გვიბრძანა: „აღიღეთ ჯვარი და შემომიდექით მე...“ ესრეთ ბრწყინდედინ ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ სინათლე და გაარკვიონ გზა მომავალ ცხოვრებისაკენ!“

ხაკო ურარდია.

## შეშლილების ხვედრი გურიაში

ვისაც ამ ბოლოს დროს გაუვლია ლანჩხუთის სადგურის მახლობლად, უსათუოდ წააწყდებოდა თავს ერთ ფრიად შემაძრწუნებელს სანახავს. მიდიხართ ქუჩაში—და უეცრად აიტუზება თქვენ წინ მაღალი, მოყვანილი, ოცი ოც-და-ხუთი წლის ყმაწვილი, შემოსილი მხოლოდ პერანგით და მისი ამხანაგით, რომელნიც ხშირად სულ დაფლეთილნი არიან. მისი შიშველი ფეხები წყალმანკით ავადმყოფსავით დასივებულან (ჰგავს, არ ყოფილა შიშვლად ტანტალს მიჩვეული). გაუსწორდებით. თუ არა, ის დინჯათ ასწევს თავს, ერთს შემოგხედავთ გამოშტერებული გიჟრის თვალებით და ქართველური სიდარბაისლით გაძლევთ სალამს. თქვენ, რასაკვირველია, გულ-შემატკივრად უპასუხებთ და მასთანავე ცნობის მოყვარეობით ცდილობთ რაიმე გამოჰკითხოთ. პირველი პასუხიდანვე მიხვდებით, რომ ეს ყმაწვილი ყოფილა ვინმე განათლებული, მაგრამ მუხთალ ბედს არ მიუცია მისთვის იმდენი მხნეობა, რომ დამაგრებოდა ცხოვრების ტალღებს და არ შეეტოპა ჯურღმულში. აგერ ხუთი წელიწადია, რაც ეს ყმაწვილი არის ჩავარდნილი სააქაოს ჯოჯოხეთში, იტანჯება არამც თუ ფსიხოლოგიურად, არამედ ფიზიკურადაც. საქმე იმაშია, რომ შეშლილა ეს საწყალი თუ არა, მაშინვე მიუყვანიათ ვითომ და სააქიმოდ ერთ გურულ „ფსიხიატრთან“, რომელსაც სანამდის ფულს აძლევდენ, უწვალებია ის საწყალი; მაგრამ როდესაც დაუნახავს, რომ მის ავადმყოფს ყურადღებას აღარ აქცევენ ნათესავები, წაუხსნია მისთვის ბაწარი და გაუშვია ასე უმოწყალოდ. ამას შემდეგ დაღლოღავს ის ღვთის და კაცის მოძულებული, ვერ უშოვნია ვერც ტანთ-საცმელი, ვერც საჭმელი, ვერც თავ-შესაფარი და დაეხეტება ასე ტყეღრე და ვინ იცის, იქნება დღეს ან ხვალ შეიქმნეს მგლის ან დათვის ლუკმად.

ამ გვარი შემთხვევა არა ერთია გურიაში, რის გამო ეს არის საერთო ნაკლულევანება, რომელშიაც იხატება, თუ როგორ ეპყრობიან გურულები შეშლილ მოძმეებს. ეს მოსაზრება მაბედვინებს წარმოვსთქვა ორიოდე სიტყვა შეძლებისამებრ გურულ სულით ავადმყოფის მდგომარეობაზე.

რა არის თავი, ანუ უმეტესი მიზეზი შეშლილობისა გურიაში? თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ გურიის უხვი ბუნება და წეს-წყობილება ჰქმნის თავის შვილებს ოპტიმისტებათ, რომ გაუნათლებლობის გამო ჩვენი ცხოვრება არ არის იმდენად რთული, რომ მას შედეგათ მოჰყვეს შეშლილობა, რომ ჩვენში ხალხი არ მისდევს სხვა-და-სხვა ნაირს სიმოვალეს, რომ ჩვენ სოფლებში სამიკიტნოებს ვერსად შეხვდებით, გარდა იმ დაბებისა, სადაც რაიმე მუდმივი სასამართლო არსებობს, რომ გურია წარმოადგენს ერთ გაევრანებულ ბაღს, სადაც ეგერ-ეგერ მოჩანან ყავრით გადახურული „ოდები“, ვგონებ მაშინ არ იქნება გასაჭირი უსტატისტიკოთაც გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ გურიაში შეშლილის თავ მიზეზად უნდა ჩაითვალოს შიში, შეიარაღებული ცრუმორწმუნეობით და ფრიად მდიდარი ოცნებით. შიშისაგან შეშლილი საერთოდ უნდა იყოს უფრო ადვილი მოსარჩენი სხვაგვარ შეშლილებზე, მაგალითად, ლოთობისაგან, ან ჩუკუნობისაგან, რადგან პირველ შემთხვევაში ავადმყოფობა არის ეგრეთ წოდებული „ფუნქციონალური“, ხოლო მეორე შემთხვევაში ამას უერთდება „ორგანიულიც“. მაინც ათასში ერთის მორჩენა შეუძლებელი არ უნდა იყოს. მაგრამ ჩვენში საუბედუროდ, არც ეს არის. გაგიჟდება ადამიანი თუ არა —მისი ბედი იმავე წამში გადაწყდება: ან წვალებაში უნდა დალიოს სული, ან და სამუდამოთ უნდა გამოეთხოვოს იმას, რაც შემთხვევით შერყეული აქვს, ესე იგი გონებას. მართალია ეს იმით არ აიხსნება, ვითომ გურულებს კაცთმოყვარეობა და გულ-შემატკივრობა არ ქონ-

ნდეთ. არა, — აქ მიზეზია უფრო უმეცრება და ცრუმორწმუნეობა. ისინი ფიქრობენ, ვითომ შეშლის მიზეზი არის ეშმაკი, ჭინკა და არა დარღვევა ფსიხოლოგიური (სულიერი ცხოვრების) კანონისა. ამიტომ მათ „კადარეული“ მიაჩნიათ ყოველგვარ ცუდ-ქმნილებათა ბუდეთ. ის მიჰყავთ იმ გვარ კაცთან, რომელსაც მათი ფიქრით ძალუძს ეშმაკის განდევნა, ესე იგი განკურვნა, მიჰყავთ მღვდელთან უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ საქმის მიმდევი მღვდლები არიან შინაური განათლებისა. ისინი, რასაკვირველია, ერთი ანდაზის არ იყოს, დიდათ არ განსხვავდება განვითარებაში თავის მრევლთან. ამიტომაც, ვგონებ, არ იქნება მოულოდნელი ის ფაქტი მათი ექიმობიდან, რომელიც მე მსურს აგიწეროთ. შეშლილს ავადმყოფს უკვრენ ხელ-ფეხს და მიათრევენ „ფსიხიატრთან“, რომელიც დაუყონებლივ სცვლის თოკს დიდ ჯაჭვზე ბ შესაფერი კლიტეებით. ჯაჭვში ჩაჭედილ საექიმოს, თუ ზაფხულია, მიაბამს სადმე ხის ძირში, რომელიც მათ ბედზე ბევრია გურიაში და თუ ზამთარია, გაისტუმრებს ბოსელში, სადაც ტიტველ მიწაზე აგდია ტიტველი უნუგეშო ავადმყოფი.

ახლა რაში მდგომარეობს თვით ექიმობა? წამლებათ იხმარება სამ გვარი საშუალება: ჭიაფერის ძირის წვენი, „ლოცვა“, ხოლო ყველაზედ უფრო „ტუკი“ (ჯოხი). ყველაზედ უწინარეს ექიმბაში ცდილობს ლონით განდევნოს „წყეული“, რომელიც მისი ფიქრით არ აძლევს მოსვენებას ავადმყოფს. ამიტომ ის იღებს კეტს და დაუწყებს ცემას გიჟს: „ფუი, დაგწყევლოს სამას სამოც და-ხუთმა წმიდა გიორგიმაო“! ცემა გაგრძელდება სანამდის ავადმყოფი ცოცხალმკვდარს არ დაემსგავსება. შემდეგ, როდესაც ხედავს, რომ საწყალ მსხვერპლს უგუნურებისას ლონე სრულებით მილევია, ექიმი შეუდგება ჭიაფერის წვენის დალევინებას. აქნება მომეცით, გაგაცნოთ, თუ რა მოქმედება აქვს ჭიაფერის ძირის წვენს ადამიანის ორგანიზმზე. ეს არის საწამლავი, რომელიც მიღებისთანავე აუტეხს მას ფაღარათობას, მოგვრის ანთებას, რომლის შედეგი ხშირად სიკვდილია. მე თვითონ ვარ ერთი შემთხვევის მოწამე, როდესაც ახალგაზდა ყმაწვილმა, რაღაცა მიზნით მიიღო ჭიაფერის ძირის წვენი და ორ დღეს შემდეგ სული დალია შემაძრუწუნებელ მდგომარეობაში. აი, ამ გვარ დამამშვიდებელ წამალს აწოდებენ სულით ავადმყოფს. ის, რასაკვირველია, რაც უნდა გალახული იყოს, მაინც არ ნებდება ექიმს და მაგრათ კრეჭს კბილებს. მაგრამ მოხერხებულს ფსიხიატრს ეს სრულებითაც არ აწუხებს. იმას მოაქვს სატეხი, ჩაუგდებს კბილებს შუა, გაალებინებს ხახას და ასხამს წამალს. ამას შემდეგ კიდევ შეულოცავს და საქმე ამით თავდება. მადლობა ღმერთს, რომ ამ გვარი წამლის დალევინება ექიმებმა სიზარმაცის გამო ხშირად არ იციან, თორემ ყველას დახოცდენ. რასაკვირველია, თუ ავადმყოფმა ჭიაფერის ძირის წვენი აიტანა და თუ გვერდებიც მთელი გადაურჩა, რაოდენსამე ხანს შემდეგ ჰკარგავს ყოველ გვარს ნიშანს ადამიანის გონებისას და შეიქნება ყურ-მოჭრილ მონად თავის ექიმისა, რომელიც ამით სარგებლობს და ათრევს იმას სამუშაოდ. ამიტომ გურიაში ხშირად შეხვდებით ყანაში მიმავალ გაწეწილ მღვდელს, რომელსაც უკან მისდევს ოთხიხუთი შეჯაჭვული თოხიანი უტვინო მონები. როდესაც ავადმყოფის კეთილებს მობეზრდება ფულის ხდა, მაშინ ექიმი შეხსნის ბორკილს შეშლილს და უშვებს მას, საითაც ფეხები გაიტაცებს. ხოლო კარგს გამგონეს და თვინიერს მათგანში სახლშიაც კი დაიტოვებს.

ჰ. რ—შვილი.

## ჩემი სიმღერა

არ მაქვს ადგილ-მამული,
არ მაქვს სახლი და კარი,
არცა მაქვს გროში ფული,
ვარ წმინდა მათხოვარი;

მაგრამ მთლად საქართველო
ხომ ჩემი მამულია,
ყოველ ხის ძირში მდელო
ჩემთვის დაგებულია?

მაშ რა მაქვს სამწუხარო,
ვყოფილვარ ბედნიერი!
ვინძლო არ გავახარო
ჩემი მოსისხლე მტერი.

ვიელი მანამ ცოცხალ ვარ
ჩემ საყვარელ მამულში,
ვიმღერ, რისთვის მოვსულვარ,
ვიტყვი, რაცა მაქვს გულში!

და, თუნდ მომკლან ამ თქმისთვის,
ვფიცავ არ მენაღვლება.
სიკვდილი რაა მისთვის,
ვინც სიმართლისთვის ჰკვდება!

დუტუ მეგრელი.

## სუმახ ქართულად თუთუბოა თუ თრიმლი?

ივერიის № 191-ში წავაკითხეთ ჩვენი მემამულეებისთვის ფრიად საყურადღებო წერილი ბ-ნ კ. ბაქრაძისა, რომელსაც მოჰყავს ცნობა ერთ ფრანგულ სამეურნეო ჟურნალიდან (Journal d'agriculture pratique, 1893, tome II, № 33—17 Août), რომ მცენარე **სუმახა** ფილოქსერის წინააღმდეგი წამალი აღმოჩნდაო. რომელ ვენახშიაც სუმახი მცენარეობდა, იმ ვენახის ვაზებს ფილოქსერა არ გაჩენიაო და სხვ... რაღა თქმა უნდა, რომ ძრიელ კარგი იქნება ჩვენმა მემამულეებმა თავის ვენახებში განგებ მოაშენონ ეს ფრიად სასარგებლო მცენარე, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ ნამდვილად უნდა შევიტყოთ, **სუმახა** ქართულად თრიმლია, თუ თუთუბო?

სუმახი სპარსულად და თუთუბო ქართულად ერთს და იმავე ხილს ჰქვია, რომელსაც ბაზრებში ჰყიდიან მსხვილად დაფქულს და მუქი წითელი ფერისაა. ეს თუთუბო, ანუ სუმახი მომჟავო გემოსია და მარხვაში ხშირად ხმარობენ საჭმელად, აგრეთვე მწვადზე მოსაყრელად და ფლავშიაც ურევენ, თუმცა ეს ჩვენში ყველამ იცის, მაგრამ იქნება, რომ სუმახი თრიმლიც იყოს? აი, როგორ აგვიწერს მცენარე სუმახს აკადემიკოსი ტრაპპი ბალახეულთა შორის:

„Herba Sumach (ლათინურად), Сумахъ или Сужакъ (რუსულად), Sumach oder Sumack (ნემეცურად), Sumac des corroyeurs (ფრანგულად), Coriar's Sumach (ინგლისურად). სუმახს აგროვებენ ბუჩქებიდან, რომელთა ეწოდება Rhus Coriaria L და Rhus tuphina L ეკუთვნიან ჯიშს Terebinthaceae. Pentandria Friginia.

Rhus Coriaria, Кожевенное дерево, იზრდება გარეულად სამხრეთ ევროპაში; რუსეთში ძლიერ ბევრია: ყირიმში, ბესარაბიაში და იმიერ კავკასიაში. Rhus tuphina კი ჩრდილოეთ ამერიკაში მცენარეობს. მცენარეს (Rhus Coriaria) ტანი ეზრდება 10—12 ფუტი სიმაღლე და მრავალ უსწორ-მასწორო ტოტებად იყოფა. ნორჩი ტოტები შემოსილ არიან მოწითანო ბუსუსებით, ფოთლები მორიგისა აქვს (რიგ-რიგათ მოსხმული) непарноперистые; თვითეულ საზოგადო ყუნწს (მთავარ ყუნწს ფოთლებისას) Rhois Coriariae'ს მცენარისას მოსხმული აქვს 15, ვიდრე 17 კვერცხივით მომრგვალო (овальные) წვრილი ფოთლები (листочки). ამ წვრილ ფოთლებს ქვედა მხარე ბუსუსებით აქვთ შემოსილი, ფრთის მაგვარნი არიან (перистые) დ ნაპირებიც დახლუნგებულ ხერხს უგავთ (пило-зазубренныя). ამერიკაში კი რომ იზრდება Rhus typhina იმას ეს წვრილი ფოთლები 11-დან ვიდრე 17-მდე აქვს მოსხმული და ჩვენებურ მცენარიდან იმითი განირჩევა, რომ ეს ფოთლები (листочки) ნეშტრის მსგავსი აქვსთ (მწვეტი) და თუმცა ესენიც ფრთის მაგვარნი (перистые) არიან, მაგრამ ხერხის მსგავსი ნაპირები ფხიანი აქვს (остро-пильчатые).

ყვავილები სუმახის მცენარეზედ ცოცხის მსგავსად არიან მოწყობილ-მორიგებულნი (въ видѣ метелки [peniculae]). ხილი (ნაყოფი) შემოსილია წითელ ბუსუსებით. ამ ბუჩქების (სუმახის) ნორჩ ტოტებს და ფოთლებს ფქვამენ და ამ ფქვილს უწოდებენ **სუმახს**, ანუ **შმაკ**. გემო სუმახისა ძლიერ მაწებელია (сильно-вяжущій).

ყველა ნაწილები ბუჩქისა შეიცავს **გალუსის** მჟავას (галлусовая кислота), მუხის ხის ნივთიერებას (дубильное вещество) და მომწვანო ყვითელ მღებავ ნივთიერებას. სუმახში მუხის ხის ნივთიერება იმდენივე მოიპოვება, რამდენიც გუნდაში და ქიმიური თვისებაც ერთი და იგივე აქვსთ (Chevreul).

სუმახს ხმარობენ ტყავების მოსაქნელად, განსაკუთრებით სამოგვის, ანუ კემუხტისთვის.

სუმახი რომ წყლით მოვხარშოთ და მერე ამ ნახარშალას ძაღა (ზაჯი ანუ მწვანე არჯასპი, желѣзный или зеленый купоросъ) მივუმატოთ, მაშინ მივიღებთ ძლიერ მკვიდრ შავ საღებავს.

სახელი: Sumach უთუოდ წარმოსდგა შემახის მაზრიდან (ანუ შირვანისა) ახლანდელ ბაქოს გუბერნიის მაზრებიდან, სადაც ძლიერ ბევრს მოაშენებენ ხოლმე ამ მცენარეს, ტყავების მოსაქნელად.

სახელი: Rhus Coriaria წარმოსდგება ბერძნულიდან ῥοῦς—ῥοός—**სუმახი** და ლათინურიდან—Coriarius—ტყავების.

თრიმლი მთელ საქართველოში ყველგან ბლომად იზრდება და ჩვენის აზრით, ვისაც სურს ნამდვილად შეიტყოს სუმახი ქართულად თუთუბოა, თუ თრიმლი, იმან ამ წერილში მოყვანილი ნიშნებით უნდა იხელმძღვანელოს. უნდა გაუშინჯოს მცენარეს ტანი, ფოთლები და მეტადრე ფოთლის ყუნწთან მოსხმული წვრილი ფოთლები, აგრეთვე ტოტების მოწითანო ბუსუსები და ხილი (ნაყოფი) და ყველა ესენი შეუფარდოს, შეადაროს ამ წერილში მოყვანილ ნიშნებს.

უფრო კი ადვილია, აიღოს კაცმა თრიმლის ხილი და ნახოს გემოთი, მართლა მჟავე არის, თუ არა? განა არ შეიძლება აკადემიკოსი ტრაპპიც და თვით

ფრანგული ჟურნალიც სახელებს ერთმანეთში ურევდეს და ცდებოდეს.

იქნება თრიმლი მცენარეს ჰქვიან და მის მჟავე ხილს **სუმახი**, ან **თუთუბოა**? თუმცა ნამდვილად კი ვიცით, რომ თრიმლს მჟავე ხილი არ ასხია, თორემ ერთხელ მაინც გავიგებდით.

თუმც ჩვენ უკვე შეუკვეთეთ მცენარე თრიმლის ძირიანად მოტანა, მაგრამ დიდად დაგვავალებს ვინც ადგილობრივ კარგად გაშინჯავს ამ მცენარეს და ნამდვილს გვაცნობებს. მეტადრე საინტერესოა ვიცოდეთ, თრიმლს რა ფერისა და გემოს ხილი ასხია.

ილია ალხაზაშვილი.

## ბატონიშვილის ალექსანდრეს ცხოვრება სპარსეთში

რაფფის ნაამბობი *)

ბატონიშვილის ალექსანდრეს ამბავი ჯერ კიდევ არ დაძველებულა. სპარსეთის მოხუცი კაცები აქამომდე იგონებენ მის ამბავს. ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ ბევრი რამ გაგვიგონია ჩვენი მოხუცებულებისგან და რადგან ამ შესანიშნავს კაცზე ცოტა, ძრიელ ცოტა, ამბავია დარჩენილი ქართულს მწიგნობრობაში, ამისთვის საჭიროდ ვრაცხთ ეს ჩვენი წვლილიც მივაწოდოთ ქართველებს მათი უკანასკნელის მეფის ირაკლი მეორის მემკვიდრის შესახებ.

ბატონიშვილის ალექსანდრეს სპარსეთში გაქცევის მიზეზი უკვე აღწერილია, ამიტომ ჩვენ ამ საგანს აქ აღარ შევეხებით. იგი გაიქცა სპარსეთს იმ დროს, როდესაც სპარსეთის სამეფო ტახტს ყაჯარის გვარის კაცი; სახელად ფათ-ალი-შაჰი ფლობდა. მან მიიღო ბატონიშვილი შესაფერი პატივით და ღირსეულობით.

ფათ-ალი-შაჰის ბრძანებით აბას მირზამ, რომელსაც ნაიბულ-სულთანს უწოდებდენ, ესე იგი შაჰის მემკვიდრეს, ატრპატაკანის (ადერბეიჟანის) მაზრის გამგებელს, უბოძა ბატონიშვილს ალექსანდრეს სალმასტის შვენიერს მაზრაში რამდენიმე სოფელი თავის სარჩენად. იმ სოფლებში ბატონიშვილმა ალექსანდრემ ბინად ამოირჩია აისორების სოფელი ხოსროვია, რომელშიაც სომხის მკვიდრნი ესახლენ. ის კახეთს მოაგონებდა ბატონიშვილს მდებარეობით; იგი შემკული იყო ბაღებით, მთის წყაროებით შვენიერი ჰავით.

ბატონიშვილს თან ახლდენ ორმოცდა-ათი კაცი ქართველი. იმათში ბევრი თავადი და აზნაური იყვენ, რომელნიც ბატონიშვილს უბედურების დროსაც არ მოშორებოდენ. მათ შორის უფრო გამოჩენილნი იყვენ ყარსამან-ბეგი, ოთან-ბეგი, მაკა-ბეგი, ალა-ბეგი, რუსტემ-ბეკი და სხვანი.

*) ეს ამბავი სომხურიდან არის ნათარგმნი. ტ—დ-ცი.

ფათ—ალი-შაჰს უყვარდა ბატონიშვილი ალექსანდრე და უწოდებდა საქართველოს ვალიად (მთავარმართებლად). ვალია წელიწადში ერთხელ მიდიოდა თეირანს შაჰის სანახავად და სპარსეთის მეფეც გამოისტუმრებდა მას მრავალი ძვირფასი საჩუქრებითა.

ფათ-ალი-შაჰ დიდს პატივს სცემდა ალექსანდრეს. ერთხელ, როდესაც მას დიდი წვეულობა—**სალამი**—ჰქონდა ნიგარისტანის ბაღის სასახლეში, ბატონიშვილი ალექსანდრე დაპატიჟა, დიდი სიყვარულით მიეგება და პირველს ადგილს დასვა დარბაზობის დროს.

წვეულება რომ გათავდა, შაჰმა ბრძანა, იმ დარბაზობის სურათი *) დაეხატათ იმავე სასახლის კედლებზედ, რომლებშიაც მოხდა ნადიმი. პირველი ადგილი ამ კედლის მხატვრობაში უჭირავს ბატონიშვილს ალექსანდრეს.

რუს-სპარსეთის ომის დროს ბატონიშვილი ალექსანდრე სპარსელებისა და ყიზილბაშის ცალკე ჯარით და თავისი მალებლებით ქურთისტანის მხრიდან შველოდა სპარელებს. მაგრამ როდესაც იმან შეიტყო რუსის ჯარის გამარჯვება, არაქსსზე და მტკვარზე გადასვლა, ხოის, სალმასტის, ურმიის და თავრიზის ქალაქების აღება, იგი სრულიად სასოწარკვეთილი შეიქმნა, ჯარი გაეფანტა და თითონაც რამდენიმე თავის ერთგული კაცებით დაბრუნდა ვანის ქალაქში და იქ მოელოდა ომის დაბოლოებას.

თურქმენჩაის გამარჯვებას შემდეგ, როდესაც რუსის ლაშქარმა დააგდო ატრაპატაკანი და უკან გამობრუნდა, ბატონიშვილი ალექსანდრე მიიქცა ისევ ხოსროვიას; მაგრამ მან იქ ველარ ჰპოვა თავისი ქართველები. ისინი რუსის ლაშქართან ერთად დაბრუნებულიყვენ სამშობლოში.

ბატონიშვილს ალექსანდრეს შემდეგ კი ძალიან გაუმწარდა ცხოვრება სპარსეთში, რადგანაც შაჰის უპირატესი ვეზირი: ჰაჯი-მირზა-ალასია, რომელსაც ჰქონდა დავრიშის ზნე და ფანატიკოსიც იყო, თავისი ჯადოსნობით შეეყვარებინა თავი შაჰისთვის და დაუწყო ბატონიშვილს ცუდათ მოპყრობა: მო-

*) ეგ სურათი ნიგარისტანის სასახლეში ახლაც იპოება. რაფფი.



ბატონიშვილი ალექსანდრე

უსპო მთაერობისგან ნაბოძები ყოველი შემოსავალი და შაჰის მიცემული სოფლებიც თან-და-თან წაართვა.

ალექსანდრემ სრულიად იმედი დაჰკარგა სპარსელებზე და სასოწარკვეთილებასაც მიეცა. მას აღარ სწამდა, რომ კიდევ იხილავდა თავის სამშობლოს... ცოტას ხანს შემდეგ კვლავ გაეღვიძა გულში ახალი იმედი. სალმასტის ახლო, ქურთისტანის მთებში, ჯოლამერკში მან ჰპოვა ერთი ველური ქურთის გვარი, რომლის ვაჟკაცობა და გულადობა მოაგონებდა თავის საყვარელს თუშ ხევსურსა.

ამ გვარს, რომელიც სარწმუნოებით ნესტორიანი იყო, უწოდებდენ ჯულოს; ეს გვარი ძველი ასირიული სექტებისა იყო, რომელსაც თავისი მთების

მიუდგომლობის გამო ჯერ თვით მმართველობა არ დაეკარგა. ამ ხალხის მმართველი იყო ეპისკოპოსი, რომელსაც უწოდებდენ პატრიარქად. იგი მემკვიდრეობით განაგებდა წმ. სიმონის ტაძარს და სახელად ყოველთვის შიმონს იწოდებდა.

როგორც შამილი დაღისტანში, ისე მარ შიმონი ჯოლამერკში იყო, სასულიერო და სახორციელო, ესე იგი საერო მთავარი თავისი ხალხისა; ქრისტეს ჯვართან ერთად მას ერტყა საომარი ბასრი ხმალი. *)

ბატონიშვილმა ალექსანდრემ იფიქრა როგორმე გამეგობრებოდა მარ-შიმონსა, რადგანაც ჰფიქრობდა ესარგებლა მისი მრავალი მეომარი ჯულოებისაგან. ამ განზრახვით ბატონიშვილმა შეირთო ცოლად მარ-შიმონის ძმისწული.

მაგრამ ალექსანდრე ბატონიშვილის წადილი არ ასრულდა; უკანასკნელს მის თეირანს გამგზავრებაში იგი დასნეულდა და მიიცვალა საშინელს სილარიბეში.

მან ანდერძათ დასტოვა, რომ მისი გვამი წაეღოთ საქართველოში; ამის გამო მისი კუბო დიდხანს დაუმარხავად იდგა თეირანის შაჰ-აბდულ-აზიმიდერვაზიის სომხის ეკლესიაში. შემდეგ იაყუბ-ხანმა ბატონიშვილის გვამი დამარხა იმავე ეკლესიის ეზოში, ეკლესიის კარების წინ. თეირანში ბევრმა არ იცის, რომ სომხის ეკლესიის კარების წინ მივიწყებულს საფლავში მარხია, საქართველოს მეფის ერეკლეს მეორის მემკვიდრე, ბატონიშვილი ალექსანდრე **).

დ. ტერ-დავითიანცი.

## კაცის მჭამლები

ბევრს ჰგონიათ, რომ ჩვენ დროში კაცის მჭამლები აღარ არიან, უცხო ქვეყნის მგზავრები იგონებენო და ეს საზიზღარი ჩვეულება მხოლოდ ძველი დროის ამბავიაო. მაგრამ ჩვენდა სასირცხვოდ ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი.

ბევრი სანდო მგზავრები ერთ-ხმად ამტკიცებენ, რომ კაცის მჭამლები ბლომად არიან და ვინ იცის, როდის გადავარდება ეს საზიზღარი ჩვეულება. ამავე მგზავრების სიტყვით ეს კაცის მჭამლები ორ მილიონამდის ადის.

ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც განათლებული თეთრ-კანიანი ხალხი თავ-გამოდებით სდევნის წითელ კანიან კაცებს, ჯერაც არის კიდევ სიუს თემი, რომელიც დღემდის საზრდოობს კაცის ხორცითა. სხვა თემები: **კრი** და **შავ-ფეხიანები** აქამდის ბაძვენ მექსიკელების ძველებურ ჩვეულებას: მტერს ამოაცლიან გულს ქაფ-ქაფი სისხლით და იმას შეექცევიან. ახალი ზელანდიის მცხოვრებსაც მოსდევს ჩვეულება, მოკლულ მტერს შესჭამს, ვითომ და მისი ღონე და მამაცობა ჩვენზედ გადმოვიდესო: სწორედ ისე როგორც მალაიელებმა იციან, ვეფხის გულის ჭამა, რომ მისი ღონე და სიმარჯვე იმათ შეეძინოს.

ამერიკის სამხრეთს ამაზონის ტყეებში ცხოვრებს ათი-ათასობით ხალხი, რომელიც სჭამს ერთმანეთს, ზოგი ერთმანეთის ჯავრს იყრის და ზოგს სასიამოვნოდაც მიაჩნია. ერთხელ 1883 წელს ინდოელებმა მოიტაცეს და შესჭამეს ერთი ახალგაზდა კოლუმბიელი. მგზავრმა ტრეომ გვიამბო, რომ როდესაც ის მოგზაურობდა გვიანაში, უცაბედად წაატყდა ერთ დედაკაცს, რომელიც თავისთვის სამხარს იმზადებდა. ამ ცნობის მოყვარე ფრანცუზმა ქვაბის თავი ახადა და ნურა თვალმა ნახოს, რაც იმან ნახა... შიგ იხარშებოდა ინდოელის თავი. ამავე ფრანცუზს გაეგონა, რომ ინდოელებს კიდევ ორი თეთრი კანიანი კაცი შეეჭამათ. მაგრამ ესეც არის, რომ ყველა ბრაზილიის ინდოელი უთუოდ კი არ არის კაცის მჭამელი. ზონდის კუნძულზედ და ახალ გვინეიაში მომეტებულათ უფრო კაცის მჭამლები ცხოვრებენ. ტყვეების ბედი ამათ ხელშია და ზოგ ადგილას მხოლოდ სიკვდილით დასჯილებს გადუწყვეტენ შეჭმას. ზოგიერთი კაცის მჭამლები იქამდის მივიდენ რომ თავის ტყვეებს ჯერ კარგად გაასუქებენ და მერე მათ ხორცს წონით ჰყიდიან.

ამ კაცის მჭამლებს უმთავრესი ბინა შუა გული აფრიკაა და სწორედ საზიზღარნი გემოვნებისანიც არიან. ზოგი ამათგანი სანამ მძოვრს სუნი არ აედინება, არ შესჭამენ. კაცის მჭამელ ზანგებმაც ასე იციან,

*) მივაქცევთ ბბ. Senex'ების ყურადღებას ამ გარემოებაზე. არამც თუ უწინდელ დროს, თურმე დღესაც ყოფილა ქურთისტანის მთებში ჯულოს თემი, რომლის მთავარი ერთსა და იმავე დროს სასულიერო და საერო უფლებას ასრულებს, ვითარცა ძველი ქორიკოსი, ანუ ქორ-ეპისკოპოსი. რედ.

**) სომხის საკვირაო გაზეთი „ტარაზ"-ის 1892 წ. მე-49 №-ში, ბ-ნი ი. ყაზარიანცი ამბობს, რომ თეირანის სომხის წ. თათეოსის ეკლესიაში, აღმოსავლეთის კედლის წინ, მარხია ქართვლის ბატონის ქალი ელისაბედი, რომლის მარმარილოს ძეგლზე სომხურად შემდეგი აწერიათ: „ეს არის საფლავი სამსონ-ხანის სართიფის ღენერლის ქალი ელისაბედი, საქართველოს ბატონიშვილი, დაბადებული ერევანში 1811 წ. იანვრის 13 და გარდაცვლილი თეირანში 1836 წ. სექტემბრის 17-ს". მთარგ.



პირთან არ მიიკარებენ, სანამ კარგა არ აყროლდება მძოვრი. ესენი არა თუ ტყვეებს, თავიანთ მოძმებსაც არ დაერიდებიან შესაჭმელად. ერთხელ ერთი მგზავრი დასწრებოდა სადილზედ, სადაც შეექამათ შემწვარი ახალი დაბადებული ბავში. აფრიკაში ამ ბოლოს დროს ზოგიერთებმა მოიშალეს ეს ცუდი ჩვეულება.

იმედია, განათლების თან-და-თან გავრცელებით ამ ქვეყანაში კაცის მჭამლობა გადავარდება და როგორც ზანგების გაყიდვაზედ ხელი აიღეს, ამაზედაც ისე აიღებენ. თუ ველური კაცის მჭამლები ზიზღისა და საშინელების მეტს არას აღძრავენ ჩვენ გულში, მაშ ევროპიელ კაცის მჭამლებზედ რაღა გვეთქმის?

ჩვენდა სასირცხვოდ ევროპაშიაც ზოგ მიმალულ კუნჭულებში მოიპოვება ამ გვარი საძაგლობა, რომელიც გამოწვეულია ან სულით ავადმყოფობის გამო და ან გაჭირებულ მდგომარეობისაგან. მაგალითად 1852 წ. ერთმა ინგლისელმა დაჰკლა ერთი მოხუცებული დედაკაცი და მოხრაკა კარტოფილით. თითქმის იმავე წელს მეორე ინგლისელმა ტყეში კაცი მოკლა, ასო ასოდ-აქნა, ჩუმად ზიდავ და თავის სახლში და იქ ისა და მისი ცოლი სჭამდენ. კიდევ შესაზარი მაგალითი მოგვყავს აქა: 1872 წელს ერთმა 17 წლის იტალიელმა დაახრჩო შვიდი დედაკაცი და ორი მათგანი ასო-ასოთ აქნა. ამ საზიზღარმა გიჟმა გამოკითხვის დროს მსაჯულებს შეუპოვრათ უთხრა, რომ ჩემთვის განუსაზღვრელს სიამოვნებას შეადგენს ადამიანების თბილი სისხლის სმა და იმათი ხორცის ჭამაო. 1884 წელს ზღვაში მოსიარულე ინგლისელებს შიმშილმა ისე გაუჭირა საქმე, რომ ერთი თავიანთი მოხელეთაგანი დაჰკლეს და მისი უმი ხორცი შესჭამეს.

რამდენი ამისთანა საქმეები ხდება დედამიწაზედ, რომ ჩვენამდის არც კი მოაღწევს ხოლმე!

---

## პ ე პ ე ლ ა

(ეტიუდი)

დავკარგე მალე, ვინც ყველაზედ მეტად მიყვარდა, ჩემი საყვარელი. ტირილით არ მიტირია: არ შემეძლო! ჩემ თვალზედ ცრემლი არ უნახავთ! ექიმმა გამიხმო მეორე ოთახში და გამომიტყდა, იმედი არ არისო და—საკვირველია!—მეც მაშინვე უეცრად გამიქრა ყოველივე იმედი. ამ სიტყვებს შემდეგ ვიგრძენ, რომ გულიდან რაღაც მომწყდა, მის ოთახში შესვლას ველარა ვბედავდი: მეძნელებოდა, მეშინოდა. ერთმა ფიქრმა, ერთმა რთულმა გამოურკვეველმა გრძნობამ შეიპყრო და დაიმონა მთელი ჩემი არსება. ახლაც არ ვიცი,

რა ფიქრი იყო ის ფიქრი, ახლაც არ შემიძლია მისი გამოთქმა. მხოლოდ ვგრძნობდი, რომ დავკარგე რაღაც რამ ძვირფასი, დავკარგე სამუდამოდ, საუკუნოდ; დავკარგე ისე, რომ ძებნა სრულიად ამაო იყო, ვიგრძენი, რომ ამ ქვეყნად აღარავინ დამრჩენოდა, საშინლად მომინდა სადმე გაქცევა, შორს, შორს გადაკარგვა. მინდოდა თვით ჩემს თავს, ჩემს ფიქრებს გავქცეოდი სადმე. რაღაც ძალა, შინაგანი, გამოუთქმელი ძალა, სულს მიხუთავდა, მაღრჩობდა. გულმა ტკივილი დამიწყო. მსურდა მეშველა და კი არა შემეძლო რა! ვიგრძენ სრული ჩემი ულონობა, ჩემი უძლურება!, ჩემს თავს ძალა დავატანე და შევედი მის ოთახში. ის უძრავად იწვა; ლაპარაკის თავი აღარა ჰქონდა. გაცრეცილი, გამხდარი ხელები საბანზედ მოწყვეტილად ეყარა; ისეც გრძელი ლამაზი თითები უფრო დაგრძელებოდა. მან ულონოდ, ნელა გადაატრიალა მოღრეული თვალები და პირდაპირ ჩემზედ შეაჩერა. ოჰ, ღმერთო! მისი ნაღვლიანი მიბნედილი მომაკვდავი თვალები თითქმის საყვედურს მეუბნებოდენ, რომ მეც მასთან ერთად არა ვკვდებოდი! ნეტავი მომკვდარიყავ! დიაღ, მის წყნარ და ნაღვლიან სახეზედ ამოვიკითხე საყვედური, ჩემი საყვედური და შური! ვინ იცის ზიზღიც! იგი მართალი იყო, მომაგონდა ჩემი სიტყვები: ერთად სიცოცხლე და ერთად სიკვდილი! ღმერთო ჩემო, რამდენჯერ გამიმეორებია, რამდენჯერ მითქვამს ალთქმის დროს მისთვის ეს სიტყვები'. მაშინ მე მრწამდა, რომ მართალს ვამბობდი, უმისოდ სიცოცხლე არ შემეძლო' მასაც სჯეროდა! ახლა? ახლა მე მას თვალს ვეღარ ვუმართავდი, თვალი მოვარიდე! მან იგრძნო ესა, უთქმელად, უსიტყვოდ იგრძნო, რომ მივხვდი მის აზრს, მის გამქრალ თვალებით გამომეტყველებას, მის საყვედურს! მთელ ტანში ჟრუანტელმა დამიარა და საშინლად გამაჟრჟოლა. იქ ვეღარ დავდექი და მეორე ოთახში გამოვედი. მთელი საათი გაყრუებული, უგრძნობლად ვიდექი, იმ ოთახში სანთელი არ ენთო; მას მხოლოდ მთვარის შუქი ანათებდა. მივედი და თავი ცივ მინას მივადე. მიამა. რას ვფიქრობდი მაშინ, მე არ მახსოვს, ან რას ფიქრობდა იგი იმ დროს, თუ კიდევ შეეძლო ფიქრი, არც ეს ვიცი: ეს მას თან წაჰყვა! იგი მოკვდა განთიადისას. სწორედ მაშინ, როდესაც მზის პირველმა სხივმა მხიარულად შემოითამაშა ლია ფანჯარაში. იგი უნებლიედ დაეცა ცხედარს და უეცრად, თითქოს შეჰკრთა: აქ სიკვდილი გამეფებულიყო და სიბრალულს ადგილი აღარა ჰქონდა! მან საუკუნოდ დაიძინა სწორედ მაშინ, როდესაც ქვეყანა იღვიძებდა

დღე მშვენიერი იყო, მე სახლში ვეღარ გავძელი, დავიხურე ქუდი და გარედ გამოვედი. გონებადაბნეული, გრძნობა მიხდილი, აქეთ-იქით დავხეტიალობდი უაზროდ. ბოლოს, ქალაქს სრულებით გავსცდი და ტრიალ მინდორში ვავედი. ზაფხულის ცხარე მზე საშინლად მწვავდა; მე კი ვერასა ვგრძნობდი. დაფიქრებული, თავ-დაღუნული, მივდიოდი უგზო-უკლოდ. თავმა ტეხა დამიწყო, მუხლებში ძალა გამომელია, ყელი გამიშრა. ერთ წუთს შევდექი, მივიხედ-მოვიხედე: ირგვლივ მხოლოდ მწვანე მინდორი იყო. მდუმარება სუფევდა ისეთი სრული და შეურყეველი, ცა ისეთი ლურჯი და მოწმენდილი, ჰაერი ისეთი მშვიდი და უმოძრაო, რომ მე სრულიად დამავიწყდა ქვეყანა, დამავიწყდა მისი მრავალფეროვანი ცხოვრება, მისი ტირილი და სიცილი, მისი ბედნიერება და უბედურობა. ამ თვალ-გადუწვდენელ ქვეყანაში მე მხოლოდ ჩემ თავს ვგრძნობდი; ვგრძნობდი მხოლოდ ჩემს მარტოობას, ჩემ დაობლებას, მეტი სიჩუმისაგან ჰაერში რაღაც გუგუნა იდგა, ან—ვინ იცის?—იქნება მე მომეჩვენა. ერთ წამს მართლა დარწმუნებული ვიყავ, რომ ქვეყანა დაცალიერდა და ჩემს მეტი ცოცხალი და მის მეტი მკვდარი ქვეყანაზედ აღარავინ არის. შემეშინდა ამ ფიქრისა, ამ მარტოობისა! შემეშინდა არ გავგიჟებულიყავ და თავში ხელი ჩავივლე. მინდოდა დამეყვირა—ხმა არ მქონდა, კრიჭა ვერ გავხსენი, ენა ვერ დავძარი, სული კვლავ შემეხუთა, შემიგუბდა; გულზედ ახალი ძალით, უფრო მომეტებული სიმძიმით ლოდივით დამაწვა გამოუთქმელი ტანჯვა! ოჰ, სიტყვებო, სიტყვებო, სადა ხართ?! ოჰ, ცრემლებო, სადა ხართ, რომ ვიტირო! ამ დროს ჩემს ახლო უეცრად გაჩნდა თეთრი პეპელა. არა, თეთრი კი არა, ის უფრო მომწვანო იყო! დიაღ, მწვანე! იგი ნაზად თავს დასტრიალებდა და უდარდელად დაჰხაროდა ყვავილებს! ხან ერთთან მიფრინდებოდა, ხან მეორესთან! მთელ ამ უსაზღვრო ქვეყანაზედ მხოლოდ მე და ეს პეპელა ვიყავით ცოცხლები! მე ნაღვლიანი სევდისაგან (მიწასთან გასწორებული), ის კი მხიარული და უდარდო! ერთს წუთს მთელი ჩემი ყურადღება მაზედ შეჩერდა; მან კი თითქოს ვერც კი შემამჩნია. საშინლად გამაბრაზა მისმა უდარდელმა ბედნიერებამ! ეს ჭია, ეს მწერი, ეს უკუნური არსება ათასჯერ და ათი ათასჯერ ბედნიერი იყო, ვიდრე მე, იგი ნაზად დაეშვა ერთ ჩემს ახლო ყვავილზედ და ფრთები ისე შეკვეცა, გეგონებოდათ, მხოლოდ ერთი ფრთა აბია შუა ზურგზედაო, მაშინ მე ნელა მიუახლოვდი. ის იყო გაშალა ფრთები გასაფრენად, მაგრამ ამ დროს დავუქნიე ჩემი წკეპლა და იგი დაეცა მკვდარი იმავე ადგილზედ, რომელსაც ერთი თვალის დახამხამების წინ ცოცხალი დაჰხაროდა. მოისპო სიცოცხლე! მე ავიღე კვდარი პეპელა, დავიდე ხელის გულზედ და დავაცქერდი, თითქოს რაღასაც ველოდი. იგი აღარ ჰგავდა წეღანდელ ცოცხალ პეპელას, მას მკვდრის ფერმა გადაჰკრა! საშინლად შემეცოდა! ჩემი თავი შემეზარა! დიდ ხანს ვუყურე მას, დიდხანს... ფიქრები ამერიენ, გული ამიჩუყდა, ნერვებმა ვეღარ შესძლეს, ვეღარ აიტანეს და მე საშინელი ისტერიკული ქვითინი დავიწყე. ბევრი ვიტირე, ბევრი... ცოტა გულიდან მომეშვა.... მერე... მოვწყვიტე ის ყვავილი, რომელზედაც მოვკალი პეპელა, გავახვიე ორივე ერთად ქაღალდში და ნელ-ნელა წამოველი სახლისკენ. შუა დღე დიდი ხნის გადასული იყო. ის უკვე კუბოში ესვენა და ზედ მრავალი ყვავილები ეყარა. მე მივედი და მის ყვავილებს მივუმატე ჩემი ყვავილი და თეთრი პეპელა.

რადა? მეც არ ვიცი!

ან. დეკანოზიშვილი.




ტიროლელი მონადირე

## ტიროლელი მონადირე

ავსტრიისა და იტალიას შუა არის ერთი დიდი მრავალ ქედებიანი მთა ტიროლისა. ამ მთის ხეობებში ცხოვრებენ ტიროლელნი, რომელნიც ჩვენს მთიულებს ბევრად ჰგავან ხასიათით, მხნეობით და იმათნაირივე დაუღალავნი მონადირენი არიან. თუმცა ჩვენებური სვანები და ფშავ-ხევსურნი ჯიხვებზე ნადირობენ, მაგრამ ესენი უფრო ფრთხილს გარეულს თხებს ეპარებიან. თქვენ აქ ხედავთ ტიროლელს მონადირეს, რომელსაც მოუკლავს გარეული თხა და ფეხებ-შეკრული გუდასავით წამოუკიდნია ზურგზე; ხელში გატენილი თოფი უჭირავს და მოდის, რომ ვინიცობაა ტყის მცველი შეხვდეს, ადვილათ არ დაუთმოს თავის ნანადირევი. შესანიშნავია მისი ტანთ-საცმელი. თავზე ჰხურავს ნაბდის ქუდი, როგორც ჩვენებურს სვანებს. ტანზედ მოკლე კურტაკი აცვია, მაგრამ ყველაზე შესანიშნავია მისი შალვარი, რომელიც მხოლოდ ბარძაყებს უფარავს. წვივებზე აცვია პაჭიჭები, როგორც ჩვენებურს მთიულს; მაგრამ პაჭიჭებსა და შალვარს შუა მუხლის თავი და

მუხლ ზემო-ქვემო ალაგები ტიტველა აქვს. ყველა ტიროლელებს ასე აცვიათ მუხლებ-ტიტველა. ისინი არიან ისეთივე თავისუფლების მოყვარე ხალხი, როგორც ჩვენი თემები—ფშავ-ხევსურნი და სვანები. მათი სიმღერაც ბევრში მოგვაგონებს გურულს „ორი დელა“, „ორი რაშას.“

## ბედი ჩვენი ბავშვებისა

(წერილი მესამე)

ყმაწვილის აღზრდა, როგორც ჩვენ მეორე წერილში გვქონდა ნათქვამი, ძრიელ რთული საქმეა. ბავშის ბედი და ბედნიერებაც, უპირველეს ყოველთა, დამოკიდებულია მის ჯანმთელობაზე, სხეულისა, ანუ ფიზიკური ჯან-ღონის გახსნაზე და განვითარებაზე. თუ იგი სხეულით სუსტი და სნეულია, ფიზიკურად გაუხსნელია, ვერასოდეს სნეული ბედნიერი ვერ იქნება და, ამას გარდა, სულიერადაც ვერ გაიხსნება და განვითარდება, როგორც სასურველია. ტყუილად არ უთქვამთ მეცნიერებს, რომ სალი სული მხოლოდ სალ სხეულში იმყოფებაო. ამიტომ არის, რომ განათლებულ ქვეყნებში შევნებულმა მშობლებმა, საზოგადოებამ და თვით მთავრობამაც დიდი ხანია განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეს მოზარდ თაობის ფიზიკურ აღზრდას, ვარჯიშობასა და განვითარებას, როგორც ოჯახებში პატარაობისას, ისე სკოლებშიაც.

ჩვენ დღეს ამ საქმეში, როგორც თითქმის სხვა ყველაფერში, ძრიელ შორს ვართ ჩამორჩენილი. ჩვენში, უვიცობის გამო, არავინ არ ზრუნავს მოზარდი თაობის ფიზიკურ გახსნაზე და განვითარებაზე. მშობლების ზრუნვა შვილების ფიზიკურ აღზრდის შესახებ ჩვენში თითქმის მარტო საზრდოს მიწოდებითა და გამოკვებით თავდება ხოლმე: არც სეირნობას, არც სასარგებლო თამაშობას და არცარა სხვა-და-სხვა ნაირ გიმნასტიურ ვარჯიშობას ოჯახებში არავინ ყურადღებას არ აქცევს. ჩვენი სოფლელი ბავშები პატარობისას სრულიად თავ-მინებებული არიან, ალალ ბედზე იზრდებიან, თვალ-ყურის მგდებელი არავინა ჰყავთ და ამიტომაც არის, რომ ძრიელ ბევრი უბედურება ჰხდება და მრავალი მათგანი იღუპება ხოლმე მოუვლელობის გამო.

ამას ისიც დაუმატეთ, რომ პატარობისას ბავშებს მრავალი სხვა-და-სხვა გვარი გადამდები სენი ეტანებათ ხოლმე და უწყალოდ წყვეტთ იმათ: მათი მძვინვარე მტრები არიან, მაგ. წითელა, ყვავილი, ქუნთრუშა, მყივანა ხველა, ყბა-ყურა, კისერა, ხუნაგი და სხვ. და არა თუ სოფლად, არამედ დიდ ქალაქებშიაც კი, სადაც მშობლები და გამოცდილი ექიმები ყოველ საშუალებას ხმარობენ ბავშების დასაცველად და გადასარჩენად ჩამოთვლილ სენთაგან, ვერას ჰხდებიან მათთან ბრძოლაში და მრავალი ყმაწვილები იღუპებიან. მაშ რაღა უნდა ვთქვათ საწყალი ჩვენი სოფლელი ბავშების ბედის შესახებ. სოფლად ჩვენში რო კიდეც მოინდომო და საშუალებაც გქონდეს, გაჭირვების დროს ხომ ვერც ექიმს იშოვნი და ვერც წამალს. ხოლო ყმაწვილის სნეულება ზოგი ისეთია, თუმც დროზედ არ მიასწარი გამოცდილი ექიმი და წამლები, მერმე ყოველი ცდა ამაო იქნება. აი, სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ხშირად სხვა-და-სხვა ნაირი სნეულება ისეა მოდებული ჩვენს სოფლებში და კიდეც ანახევრებს ხოლმე საბრალო პატარა ქართველების რიცხვს.

ამას გარდა ყველაფერი, რაც კი რამ იცის ადამიანმა, დაბადებას შემდეგ იძენს ხოლე. მაგრამ ცოდნის შეძენისთვის და სულიერი გახსნისა და განვითარებისთვის მიუცილებლად საჭიროა ყველა გარეგანი გრძნობების ორგანოების სიმრთელე და გახსნილობა. თუმც ყმაწვილს დაზიანებული აქვს, მაგ., თვალები, ყურები და ან კიდევ სხვა რომელიმე ორგანო გარეგანი გრძნობისა, ის თავის დღეში ისე ვერ გაიხსნება გონებით, როგორც სრულიად სალი ყმაწვილი. ამიტომაც მშობლები პატარობიდანვე უნდა ცდილობდენ იხმარონ ყოველი საშუალება, რათა, ერთი მხრით, დაიცვან ყმაწვილების გარეგანი გრძნობების ორგანონი ყოველ გვარი მავნებელი გავლენისაგან, ხოლო, მეორე მხრით, შეუწყონ ხელი მათ გახსნას ვარჯიშობით, რადგანაც გრძნობათა გახსნა და განვითარება დამოკიდებულია მათ ვარჯიშობაზე. მაგრამ ამგვარ მოვლასა და ვარჯიშობას შესაფერი ცოდნა და გამოცდილება ეჭირვება, რომელსაც სრულიად მოკლებული არიან ჩვენი უვიცი მშობლები.

განათლებული მშობლები და აღმზრდელები ცდილობენ პატარაობიდანვე შეაჩვიონ ყმაწვილები სხვა-და-სხვა საგნების დაკვირებას, თვალ-ყურის დევნას და მათ თვისებათა გაცნობას გრძნობების შემწეობით; ამისთვის გაყავთ ბავშები ეზოში, მინდორში და სეირნობის დროს აძლევენ შემთხვევას ნახონ, დააკვირდენ და გაიგონ სხვა-და სხვა უსულო და სულიერი საგნები. განათლებულ ქვეყნებში ამითიაც არ კმაყოფილდებიან: კერძო პირებსა და საზოგადოებასაც მოწყობილი აქვსთ შვენიერი საყმაწვილო ბაღები, რომლებშიაც გზავნიან ყმაწვილებს და იქ გამოცდილი აღმზრდელები და მასწავლებლე-

ბი თან ართობენ მათ სხვა და სხვა ნაირი თამაშობით და სიმღერებით და თანაც აძლევენ შემთხვევას გაიცნან სხვა-და სხვა საგნები და დაისწავლონ მათი სახელები. ამგვარი სახარგებლო ვარჯიშობით ხელს უწყობენ მათი გრძნობების გახსნას და გონებისა და ენის გამდიდრებასაც. ამავე საქმისთვის შეგნებილი მშობლები ჰხმარობენ მრავალ გვარს საყმაწვილო სათამაშოებსა და სურათებს, რომლებიც განგებ მოუგონიათ საუკეთესო პედაგოგებს ყმაწვილებისათვის, ასე რომ ყოველი წლის ბავშისთვის შეგვიძლიათ შესაფერი სათამაშოები, სურათები და წიგნებიც მოიპოვოთ ხოლმე.

ჩვენი ყმაწვილები კი სრულიად მოკლებული არიან ყოველ ამ გვარს ოჯახებში იმათ ფიზიკურსა და სულიერს აღზრდასა და ვარჯიშობას. პატარობისას არავინ მათ ყურადღებას არ აქცევს ხოლმე და ან კი ვინ უნდა მიაქციოს, როცა თვით მშობლები სრულიად უვიცნი და გამოუცდელნი არიან ამ ძნელს საქმეში.

კიდევ უარესს სურათს წარმოგვიდგენს ჩვენი ბავშების ბედი ზნეობრივი მხრით.

ახლა უეჭველ ჭეშმარიტებად არის ცნობილი და აღსარებული, რომ მტკიცე საფუძველი ყოველ ადამიანის ზნეობრივი გახსნისა და განვითარებისა ჩაიდგმის ოჯახში და სკოლასა და მასწავლებლებს შეუძლიათ მხოლოდ დახმარება აღმოუჩინონ მშობლებს ამ საქმეში. ეს იმიტომ რომ, როგორც ყველამ საკუთარი ცხოვრებიდან ვიცით, ყმაწვილი პატარაობისას ისეთ ნაზსა და ყველაფრის მიმზიდავ ნიადაგს წარმოადგენს, რომ ყველაფერი, რაც კი ამ ნიადაგზე ითესება, კარგი, თუ ცუდი, კეთილი, გინდ ბოროტი, ისე მტკიცედ აღიბეჭდება მაზედ, არაფერს მათი წაშლა და ამოფხვრა აღარ შეუძლია სრულიად შემდეგში. ამას გარდა დედ-მამა ბავშებისთვის ისეთი საყვარელი და სატრფო პირები არიან, რომ იგი ყველას მათ სიტყვას და მოქმედებას მაგალითად სთვლის, სიხარულით ითვისებს, იმახსოვრებს და, შეძლებისა დაგვარად, იმეორებს ხოლმე კიდეც.

თუმც ეს ასეა, ყველა ადვილად მიხვდება, რა დიდი გავლენა უნდა ჰქონდეთ დედ-მამასა და საზოგადოთ ოჯახს ყმაწვილების ზნეობრივ გახსნაზე და აღზრდაზე. ამიტომაც არის, რომ შეგნებული და განვითარებული მშობლები ცდილობენ პატარობიდანვე ჩაუნერგონ თავიანთ შვილებს სიყვარული ყოველი კარგისა და კეთილისადმი და ძულვილება ცუდისა და ბოროტისადმი. რა საკვირველია, ადვილი საქმე არ არის დედ-მამისთვის ისეთი შეუწყვეტელი და დაუღალავი მზრუნველობა და თვალ-ყურის დევნა იხმარონ, რომ ერთი მხრით, მარადის იფარავდენ თავიანთ შვილებს, რათა ცუდი არაფერი ნახონ და გაიგონ, ხოლო, მეორე მხრით, ისეთ პირობებში და გარემოებაში ჩააყენონ და აღზარდონ იგინი, რომ ყოველთვის კარგი და კეთილი მაგალითი ჰქონდესთ თვალ-წინ, მაგრამ ვისაც მშობლის დიდი მოვალეობა უკისრნია, სიძნელემ არ უნდა შეაშინოს ხოლმე. უამისოთ ყმაწვილს კეთილი ზნეობრივი მიდრეკილება ვერ ჩაენერგება.

ჩვენ, რა საკვირველია, არ ვფიქრობთ, რომ ჩვენს მშობლებს არა სურდეთ, კეთილი ზნეობრივი გავლენა იქონიონ თავიანთ შვილებზე, მაგრამ მარტო სურვილით რა გაკეთდება. სურვილს გარდა ამ დიდსა და ძნელ საქმეს ცოდნა, გამოცდილება და მეცადინეობა ეჭირვება, ხოლო ყველაფერს ამას ჩვენი მშობლები ჯერ-ჯერობით, სამწუხაროდ, სრულიად მოკლებულნი არიან.

წყალტუბელი

## სახუმარო გასართობი

### გოჯასპირ და ივანიკა

**გოჯასპირ.** ეს რა ამბავია, ივანიკა, რომ დღეს უკანა კარში გამოვუგდივართ, განა მეტი პატივისცემა არ გვეკადრებოდა?

**ივანიკა.** ასთე ამბობენ, სულ სისულელეს ლაპარაკობენ გოჯასპირ და ივანიკაო.... ეგენი საპატიო ალაგას დასაყენებელი არ არიანო. პანღური გვკრეს, ბატონო, პანღური და მეთექსმეტე გვერდზე ამოგვაყოფიეს თავი!...

**გოჯასპირ.** ვა, ეს რა უზრდელობაა! მოდი სულ გავეცალოთ.

**ივანიკა.** არა, ბატონო, გოჯასპირ, სულ ვერც რედაქცია გაძლებს უჩვენოთ. ხომ კი იცი, სახარებაში ნათქვამია: „ჩვენ ვართ მარილი სოფლისაო“, სწორეთ „კვალის“ რედაქციის მარილიც ისთე ვართ ჩვენ.

**გოჯასპირ.** მარილი, შენმა მზემ, ტორემ ისე არა ქნა, ბადრიჯნით მწვადს არ მაყარო და პირი არ ჩავიტკბანურო.

**ივანიკა.** არა. მართლა მარილი კი არ ვართ, მარა ისთე ითქმება. როცა ვისიმე საჭირო ვართ, მაშინ მისი მარილიც ვართ და მიხაკ დარიჩინიც. უჩვენოდ „კვალი“ ვერ გაძლებს... ჩვენ რომ არ ვყავდეთ, აპა, რავა შეიტყოპს, სად რა ხდება და სად რეიზა იმდურებიან.

**გოჯასპირ.** ეგ ყველა კარგი, მაგრამ არც ესე აბუჩად აგდება ვარგა, ჩვენ რო ავუგდივართ. უბრალო განცხადებებთან ყოფნა როგორ გვეკადრება?

**ივანიკა.** რუსებმა იციან: „კაცმა უნდა დაამშვენოსო ადგილი და არა ადგილმა კაციო“. უწინ „კვალის“ განცხადებებს არც კი არავინ კითხულობდა, ახლა ჩვენ რომ აქანეი გაეჩნდით, განცხადებებსაც შნო მიეცემათ. უფრო ბრეველიც მოვლენ.

**გოჯასპირ.** შენ, ჩემო ძმაო, ისეთი მოქნილი ენა გაქ, რომა თეთრს შავად გადააქცევ და შავს თეთრადა. „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო“, შენზე უნდა იყოს, ივანიკა, ნათქვამი.

**ივანიკა.** გველი არ ვიცი და უშველებელი ვირ-თხა კი გამოახტუნეს საქალაქო ზალაში იმ კვირეს.

**გოჯასპირ.** როგორ თუ ვირ-თხა, განა თქვენში ვირთაგვას ვირ-თხა ჰქვია?

**ივანიკა.** კი, ბატონო, ვირ-თხა ქვია. უჰ, ძალიან ამბავი იყო ქალაქის დარბაზში. სულ მილიონიანები იყვენ შეყრილი. დელეხტორის ამორჩევა უნდებოდენ და გამართეს ლაპარაკი. გეეიხედე და ამოარჩიეს იგი, თეატრისთვის რომ წარმოდგენებს წერს..... ძალიან პატიოსანი კაცია. პატივი ცეს და თავში დააყუნცეს....

**გოჯასპირ.** დააყუნცეს რომელია?... დააბძანესთქო.

**ივანიკა.** ჰო, დააბძანეს .. ეილო ხელში სარაწკუნო და ორ კაცს ერთათ კი არ ალაპარაკებდა. რავარც არუზრუზდებოდენ, მაშინათე დოურაწკუნებდა-ყე და გააჩუმებდა. სათითოეოთ ილაპარაკეთო, თვარე არც ერთს არ მოგცემთ ლაპარაკის ნებასო. ილაპარაკეს და ილაპარაკეს. ბრეელი კი არ მესმოდა ლაპარაკის. . სულ რუსულათ ლაპარაკობდენ... მე და შენ ჩემო გოჯასპირ ამ ენაზე არ ვიცით ლაპარაკი, იმიტომ რომ განათლებული არ ვართ. როცა გავენათლდებით, ჩვენც ქე დავიწყებთ ისე ლაპარაკს.



გოჯასპირ

ივანიკა

**გოჯასპირ.** არ გაგიგონია, ვინც მოხუცებაში ჭიანურის სწავლას დაიწყებს, ის საიქიოს დაუკრავსო?

**ივანიკა.** მაცა, ბატონო, გოჯასპირ... ძალიან გაცხარებით დეიწყეს ლაპარაკი. არა მე უნდა ვიქნე დელეხტორათ, არა მეო... შეეტაკენ მილიონიანები ერთქამეთს და კინალამ მუშტი-კრივი გამართეს. სტორეთ ძაღლს რო გოდუგდებენ ქუცურებს და ერთქამეთს დეერევიან, ისთე მოუვიდათ რაღმე. თურმე ძალიან გამოსარჩენი ყოფილა დელეხტორობა მილიონიანების ბანკში: ჯამაგირს გარდა, რამდენიც უნდა ხვეტო ფული, კი ვერავინ შეგიტყობს...

**გოჯასპირ.** ასლი საჩემო ალაგი ყოფილა! ფულიც მიყვარს; მაგრამ ჭამაც კარგი ვიცი.

**ივანიკა.** ჰო, იმას მოგახსენებდი. შეიქნა ერთი მიწევ-მოწევა. ურუსულეს ერთქამეთს და ურუსულეს, ურუსულეს და ურუსულეს!.. რომ არიან ამისთანა გაწამაწიაში.. ამდროს და უცბათ, სარაწკუნო რომ ეჭირა ხელში, იმან დეიძახა ქართულად: — „მიხურეთ ე კარიო!..“ — ამ სიტყვებზე ყველამ დაალო პირი, გაშტერდენ, მარა რა გაშტერდენ... მოუვიდათ გული მილიონიანებს და ამის გამოჯავრებული ყველა დელეხტორები გააშავეს... თავად მერაწკუნეც გადმოაყუნცულეს ტახტიდან...

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

# განცხადება

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებადართვით 1-ოკტომბერს, 1893 წელსა, ოდესსის უნივერსიტეტში საისტორიო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე კურს დამთავრებული გ. მ. ცაგარეიშვილის მიერ

ქ. ბათუმში გაიხსნება **პირველ დაწყებითი სკოლა**

პანსიონით და გაკვეთილების გასამეორებელი (რეპეტიციის) კლასებით

სკოლის მიზანი არის ყმაწვილის მომზადება, ყოველგვარ სასწავლებლებში. პირველ კლასებში ამასთანავე მიიღებენ სკოლაში მოზდილებსაც გაკვეთილების გასამეორებლად.

სკოლაში ყურისმგდებლად, გარდა ცაგარეიშვილისა, იქნება კიდევ ოდესის უნივერსიტეტშივე ფიზიკო-მათემატიკის ფაკულტეტზე კურს დამთავრებული ი. ს. ფანცხავა. ყმაწვილები მიიღებიან პირველ ოკტომბრიდან.

სკო[illegible]მყოფება გურიის პატარა ქუჩაზედ პაქსინოზის სახლში, ფარსადან მიქელაძის სახლის გვერდით.

Дозв. ц[illegible]. Тифлисъ, 2 Октября 1893 г. სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა (Типог. Гр. Изд. Т—ва)